საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

08/02/2024
N 09-02-16/70

70-09-02-16-2-202402081401

ქედის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ როლანდ ბერიძეს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2013 წლიდან დღემდე გარემოს ეროვნული სააგენტოს ან აჭარის ა.რ მთავრობის/სამინისტროების/სხვა უწყებების მიერ გამოგზავნილი საფრთხეების შეფასების ყოველწლიური ანგარიშების, ეკოლოგიური, გეოლოგიური და სხვა ბიულეტენების, სამოქმედო გეგმების შესახებ დოკუმენტების (დასკვნა/ბიულეტენი/რეკომენდაცია/წერილი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი) ასლები, ასევე თქვენს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის/შესაბამისი რეაგირების გადაწყვეტილებების ასლები;
2. წერილებისა და რეკომენდაციების შესრულებაზე გაგზავნილი ანგარიშების/სამოქმედო გეგმებისა და სხვა დოკუმენტების ასლები;
3. 2013 წლიდან დღემდე მერიის მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფრთხეებთან და მათ პრევენციასთან დაკავშირებით მომზადებული, კვლევების, რეკომენდაციების ასლები, ასევე შესაბამის სამსახურებზე გაგზავნილი დოკუმენტების ასლები, დანართებთან ერთად;
4. სოფელ წონიარისში 2024 წლის 6 თებერვალს განვითარებული სტიქიური მოვლენების ზონაში დაშვებული იყო თუ არა მოსახლეობის ცხოვრება, აუცილებელი იყო თუ არა მანამდე მოსახლეობის გაყვანა და რა გაკეთდა ამ მიმართულებით, ასევე პრევენციისათვის? გთხოვთ ასევე მოგვაწოდოთ სოფელ წონიარისისა და სხვა სოფლების დასახლებების ჩამონათვალი, სადაც დაუშვებელია მოსახლეობის ცხოვრება და დღეის მდგომარეობით რამდენი ოჯახი ცხოვრობს ამ ზონაში? ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე გაცემული კომპენსაციების/დახმარებების ოდენობის შესახებ ინფორმაცია(ოჯახების რაოდენობა, გაცემული კომპენსაციის ოდენობა თითოეულ ოჯახზე). 2013 წლიდან დღემდე, კომპენსაციის/დახმარების გაცემის შემდეგ განხორციელდა თუ არა მონიტორინგი გაცემული კომპენსაციით შეძენილი იქნა თუ არა ბენეფიციარების

მიერ საცხოვრებელი სახლები? ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;

5. გქონდათ თუ არა კონსულტაციები/შეხვედრები/განხილვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან/შესაბამის სამსახურებთან, კრიზისის მართვის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტების ასლები და კრიზისების მართვის სამოქმედო გეგმის ასლი;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE